

1 9 6 3 0 3 3 0 6 0

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՊԱՐՏԱԿՐԱԿ

ՏՈՒՆԻՆԻ

572
1963





ნიქარა

პალეონიკა მინაიკოსკი

პოეტის დაბადების 70 წლისთავი

გაქრა
ზამთარი,
აზურმუხტდა ტყე.
რაზმი მზად არის—
მეც,

შენც,
ჩვენც.

გაზაფხულს გადაუშდია
მდელოზე მწვანე ფერი.
მოვდივართ და მხიარულად
ვმღერით!

ვმღერით!

ვმღერით!

ქალადს, ფარჩეულს, სურათს
წითელი ფერი შვენის.
ღროშები ცაღ ასულა
ჩვენი!

ჩვენი!

ჩვენი!

ხარობს ყვავიღი ნაზი,
ქუჩა ულიმის მგეს.
სიმღერით მოღის რაზმი—
ჩვენც,

შენც,
მეც.

372
1963

გარდასული
განაწილება



სუსნი

ნინო ბუბრაშვილი ნახატები ჯ. ლოლაში

— სრ, სრ, სრ!.. — მოესმა ბესიკს უცნაური ხმა. „ნეტავ რა ხმაურობსო,“ გაიფიქრა ბიჭმა, სანქაროდ ქუდი დაიხურა და ბებიას სალომეს ეზოში გაქანდა.

ბებიას სალომეს სახლის წინ ერთი ბებური ცაცხვი იდგა. მშვენივრად აუვაუდებოდა სოლმე და ჩრდილიც კარგი ჰქონდა. მაგრამ წველს, საფსულში მველებურად ვეღარ გაიფურჩქნა. აქა-იქ ტოტები შეასმა და დაუშნოვდა. ახლა სწორედ იმ ცაცხვს ორი კაცი ვეებურთელა სერსით პირში სერსავდა. სალომეს მათ მახლობლად იდგა.

— ბებიას, რაღა ჰკრით? — მისვლისთანავე იკითხა ბესიკმა. — რა კარგად ვთამაშობდით სოლმე ჩრდილში!

— ტოტები შეასმა, ალბათ ფესვებ-

4636



მი ჭია გაუნდა, აბა, რიღასთვიც მინდა;
წრდილი ამას აღარ ექნება და სურნელო-
ვანი ვუაჯილი. მოჭკრი და ამ ზამთარს
შემად გამომადგება.

— სრ, სრ, სრ!.. — ხისინებდა ხერხი.

ხერხის ხმაზე სხვაც გოგო-ბიჭებმაც
მოირბინეს. მხერხავებთან მიცვივდნენ და
ეურება დაუწესეს.

მხერხავებმა ხერხეს, ხერხეს და მერე
შეხერდნენ, სახიდან ოფლი მოიწმინდეს
და გოგო-ბიჭებს უთხრეს:

— აბა, ახლა კი უკან დაიწიეთ! სა-
დაც არის, სე გადავარდება. — მართლაც სე
გრივლით გადახარა და ტოტების ლა-
წალაწილი მიწასე გაიშლართა.

— აუუ! — შესმახეს გოგო-ბიჭებმა
და მაშინვე წაქცეული ხეს მისცვივდნენ.
ტოტებზე შემოსხდნენ და ქანაობა დაიწ-
ეს. სხვადასხვაფერ ტანსაცმელში გამო-
წეობილმა ბატარებმა ისე გააღამახეს
წაქცეული ხე, რომ გვეგონებოდათ, ჭრულ-
ფრთიანი ჩიტები შესვევიანო.

ტოტებზე სხდომა და ქანაობა არ
მოსწეინდებოდათ ბაღლებს, მაგრამ მხერ-
ხავი დაადგათ თავზე.

— აბა, ახლა კი გეოფთო, კადმოს-
ტიო, ტოტები უნდა ავაფოთ.

მხერხავებს ხერხის ნაცვლად ჰრიალა-
ხირიანი ცულები ეჭირათ. ხეს ჯერ მი-
რი მოაჭრეს, მერე ტოტებიც დაკაფეს.
ხის ძირი და მსხვილი ტოტები ქმინი-
თა და წვალებით საჩესში შეათრიეს და
წავიდნენ.

— ეს ტოტები აქ უნდა ევაროს? —
შეკვითსა ბესიკი ბებია სალომეს.

— არა, შვილო, საჩესში უნდა შეე-
ზიდო!

— ჩვენც კიშველით, ბებია, — უთხრა
ბესიკმა და მერე გოგო-ბიჭებს მიუბ-
რუნდა, — მოდიოთ, ვუშველოთ.

გაჩაღდა მუშაობა. ბაღლებმა გაფან-
ტრული ნაფოტები მოკრიფეს, ფოთლე-
ბიც მოხვეტეს და ისე მოაკრიალეს ესო,
რომ წკრიც კი აღარ დატოვეს.

— გაუნარჯეთ თქვენს ბატონს,
ამოდუნა საქმეს სამ დღეს ვერ მოვრე-
ბოდი. — ამბობდა ბებია სალომე და ბე-
ჭებს ჩამიხით უმახანძრავდებოდა.



ლექსი ჯანსუღ ჩაჩაიანიისა

ძინ, ძინ, წინ, წინ, სულ მაღლა...
მთების ჰაერს ვსუნთქავთ.
ჯერ არავის უნახავს
ზეცა ასე სუფთა.

ძინ, ძინ, წინ, წინ, მთვარისკენ...
დაბლა ვტოვებთ ღრუბელს,
ვარსკვლავებით ავივსეთ
პატარებმა უბე.

ჩვენს რაკეტას დაჰხარის
მთვარის შუქი წმინდა,
სალამს ვუძღვნით ვაგარინს
საქართველოს ციდან.



კატარა კოსმონავთების სიმღერა

მკვირცხლად მუსიკა გურამ გვანალონსა

ძინ, ძინ, წინ, წინ სულ მაღლა

მთვ - ბის ჰა - ერს ვსუნ - თქავთ ჯერ, ა. ჩა - ვის უ - ნახავს

ზე - ცა ა - სე სუ - ფთა. ძინ, ა. ჩა - ვის უ - ნახავს

ზე - ცა ა - სე სუ - ფთა

ნახატი ნ. ბელაზონისი

მელა კახიძე

სან აფასულებ წამწამებს,
სანდასან თვალებს სუჭაჲ,
მანც კითხვა ვერ კანწავალუ,
ამაგი მიმდის ფუჭად.
მთელ წიგნს ბოლომდე ვამთავ-
რებ,

შენ კი ვერაფერს ხვდები,
გეათხოვოს თავის სათვალუ
ხემა ღამასმა ბებიმ.
თუ კი მას შეუღლის სათვალუ,
თუ ის კითხულობს წიგნებს,
ხემო თოჯინაჲ, ანლაჲ
შენც წაიკითხა იქნებ!

თოჯინა



ღილაკით

დილაობით როგორც კი
ხელს წაგაუღებ ცოცხს,
ხემი გოგო იმ წუთში
სახლის დაგვას მთხოვს.
თუ კი ხელში ავიღებ
რომელიმე წიგნს,
ხემი გოგო მაშინვე
ხამიდგება წინ.
ხელში წაშეტანება,
როცა უთოს ვრთავ.
სუფრის გაშლას არ მაცდის,
მუდამ დაძღვს თან.



კაკი

ვლადიმერ ასლანაშვილი

მანანა ისე გაიზარდა, რომ ახლა კარის სახელურს სწვდება.

— ჭრიიი!—იღება კარი და გოგონას შიგნით შეიბატიყებს ხოლმე.

— ჭრიიი!—იღება კარი და მანანა გარეთ გამოდის. უხარია, ბებოს აღარ ეძახის:—შენთან მოვდივარ, კარი გამიღო.

ერთხელ ბებო მეზობელთან გადასულიყო. მანანა შევიდა მის ოთახში და რას ხედავს: კალათაში სულ დარჩეული ვაშლები აწყვია.

— მოდი, ბებოს უჩუმრა ერთ ცალს ავიღებ,—თქვა და ყველაზე დიდ ვაშლს ხელი დასტაცა, წინსაფრის ჯიბეში ჩაიღო და კარს ეცა. მაგრამ დახეთ საკვირველებას, კარი მანანას კაბის ბოლოში მაგრად ჩაეჭიდა და გარეთ არ გაუშვა.

— გამიშვი რა,—გაიწია მანანამ,—გამიშვი, თორემ ბებო მომატანს!


კარი მაინც არ უშვებდა.

— რა ვქნა, რატომ დამიჭირა,—დაფიქრდა მანანა, მერე უცებ გაიცინა და თქვა:

— ააა, მიეხვდი, ბებოს დაუქითხავად ვაშლი რომ ავიღე, არა?

— ჭრიი!—დაიჭრიალა კარმა. მანანამ ჯიბიდან ვაშლი ამოიღო, კალათაში ჩალო და კმაყოფილი გარეთ გამოვიდა.

კარს აღარ დაუჭერია მანანა.



მარჯობა სკოლა

ანა კაპარინა ვახვლა
ნორვეგიელი მწერალი

იყო და არა იყო რა, იყო დიდი, ძალიან დიდი ოჯახი: მამა, დედა და მთელი რვა შვილი. ბავშვებს ერქვათ: მირე, მარინე, მარტინი, მარტა, მადსი, მონა, მილი და წრიპა მორტენი.

მათთან ერთად ცხოვრობდა კიდევ დიდი საბარგო მანქანა, რომელიც ყველას ძალიან უყვარდა. როგორ შეიძლებოდა არ ჰყვარებოდათ, როცა საბარგო მანქანა მთელ ოჯახს არჩენდა!

ჩვეულებრივად მამა და საბარგო მანქანა დილით გადიოდნენ სამუშაოდ. ამჟამად მამა ჯამაგირს იღებდა: ფულს დედას აძლევდა, დედა კი ოჯახს სადილს უმზადებდა და ყველა კმაყოფილი იყო.

მამა, დედა და რვა ბავშვი ნორვეგიის დიდი ქალაქის შუაგულში, ერთ მაღალ ქვის სახლში ცხოვრობდნენ. მათი ბინა სულ ერთი ოთახისა და სამზარეულოსაგან შედგებოდა. ღამე მამას და დედას სამზარეულოში ეძინათ სავარძელზე, ბავშვებს კი ოთახში. მაგრამ ერთ ოთახში რვა საწოლი როგორ დაეტეოდა? ამიტომ ყოველ საღამოს ბავშვები იატაკზე აფენდნენ რვა ლეიბს და ისე წვეებოდნენ. თან ფიქრობდნენ, არც ისე ცუდია ძირს წოლა, როგორც გინდა გადაგორდი, საწოლიდან იატაკზე ტყუპანს მიხეც არ მოადენ!



რა ძნელია ადრე აღგომა! ასე ფიქრობდნენ მამაც, დედაც და თითქმის ყველა მათი რვა შვილი. საბარგო მანქანა კი არ ვიცი რას ფიქრობდა ამაზე! ადრე მხოლოდ წრიბა მორტენი იღვიძებდა და იმ წუთშივე პოულობდა რაიმე გასართობს.

ერთხელ ახალი მალეძარა საათი სულ დაშალა, ამიტომ მალეძარა საათი აღარ ჰქონდათ სახლში. ამას წინათ კი მთელი ტომარა ქერი იატაკზე მოფანტა.

მარტენს ძალიან მოსწონდა დილაობით მარტოდმარტო გართობა, ამიტომ ყველაზე ადრე იღვიძებდა. მაგრამ აბა, დანაჩენებოსათვის გეკითხათ? მათაც უნდოდათ დილა-ადრინად წამოხტომა, მაგრამ მალეძარა საათის გარეშე ყველა იგვიანებდა.

დილაობით მამა ნამძინარევი სახით ჩადიოდა საბარგო მანქანასთან. ძალიან უნდოდა ერთი ყლუპი ყავა მიიღო დაეღლია, მაგრამ საწყალ საყავეს ხომ არ შეეძლო ერთ წუთში ადუღება და ხშირად მამა სამუშაოზე უსაუშმოდაც მიდიოდა, ბავშვები კი ყოველ დილით კისრისტეხით გარბოდნენ სკოლაში.

როდემდე უნდა ყოფილიყო ასე?

სალამს, როცა ყველა შინ იყო, მამამ გვერდით მოისვა შვილები და თქვა:

— მოდი თუ, ყველამ ვიფიქროთ, როგორ გავიღვიძოთ ხოლმე დილაობით დროზე?! ვინც ყველაზე უკეთეს აზრს გამოთქვამს, ჯილდოდ ჯიბის პატარა ფარანს მივცემ.

ყველა ჩაფიქრდა, ყველა, გარდა წრიბა მორტენისა, რადგან მას უკვე დიდი ხანია ეძინა.

— მოდი თუ, ახალი მალეძარა საათი ვიყიდოთ!— წამოიძახა მარტენმა.

— არა,— უპასუხა დედამ.— ფული არა გვაქვს!

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ცოცხალი მალეძარა საათი გვყავს, მხოლოდ ის არ რეკავს,— გაიღიმა მადლსმ.

— ვისზე ლაპარაკობ?— გაუფიქრდა მამას.

— მორტენზე, სხვა ვისზე! ის ხომ ძალიან ადრე იღვიძებს და რამდენი რამის გაფუჭებას ასწრებს!

— მართალია,— გაეცინა მამას,— მხოლოდ როგორ მოვახერხოთ, რომ ყველა გავვადვიდოს? მე მგონი, მარტენს ძალიან მოსწონს, ჩვენ რომ ამდენ ხანს გვიძინავს.

— ამიტომ ისეთი რამ უნდა მოვიფიქროთ, რომ მისთვისაც საინტერესო იყოს. მამა, შენ ხომ გქონდა სადღაც ძველი ევევანი, გახსოვს, ჩვენ გემობანას რომ ვთამაშობდით? მაშინ მოგვიტანე!

— მართალია,— გაეხარა მამას,— ის ნამდვილად გამოგვადგება!

— ჩამოვიღოთ ევევანი ჰერზე, მავთულის ბოლო კი პირდაპირ მორტენის საწოლამდე გავუკმოთ. ის დაინტერესდება, მავთულს მოსწევს, ევევანი დაირეკება და ჩვენც გაგვეღვიძება.

— ყოჩაღ!— წამოიძახა მამამ,— ჯიბის ფარანი შენია, მადლს.

ასეც მოიქცნენ.





დიღას შორტენმა პირველმა გაახილა თვალი, ჯერ იწვა და იშმუშუნებოდა, მერე დაიწყო აქეთ-იქით თვალების ცეცება. ეს რა ჰქილია მისი საწოლის წინ? უნდა გაიგოს აუცილებლად! შორტენმა მოხსნა თოკს და ევეანი აულარუნდა.

ეს რა კარგი გასართობი ყოფილა! შორტენმა უფრო მაგრად მოქაჩა და ევეანი კიდევ უფრო ხმამაღლა აულარუნდა.

ასე ხმამაღლა ევეანი არ აულარუნებულა მას შემდეგ, რაც ის დიდედას ძროხის კისერზე ეკოლა!

თანდათან ყველას გაეღვიძა, შორტენი კი სულ უფრო აულარუნებდა და აულარუნებდა ევეანს.

სამზარეულოდან მამა და დედაც შემოვიდნენ. მამა იშმორებოდა, დედა კი საჩქაროდ იწნავდა თავის გრძელ თმას.

— ყოჩაღ, შორტენ!—უთხრა მამამ.—ამისთვის დიდი ვაშლი გერგება.

შორტენმა გამოართვა ვაშლი. მას ვერ გაეგო, რატომ ატყდა მის ირგვლივ ასეთი ყრიაბული? ეგონა, მაგრად მომხვდებოა, მაგრამ არავინ გაუწერა, თურმე სწორად მოქცეულა!

იმ დღით ყველა ადრე ადგა. შორტენმა ისინი ექვს საათზე გააღვიძა. ნეტავ იცოდეთ, რამდენი საქმის გაკეთება მოასწრეს. ჯერ ერთი, ბავშვები ყველა რაღაცით დეხმარა დედას, ამიტომ დედამ ადრევე მოათავა სახლის საქმე და პატარებთან ერთად პარკში გახეიჩნება შეხძლო. ეს ყველას ძალიან მოეწონა. შორტენი იმ წუთს მიხვდა, რომ ყოველ დღით უნდა მოქაჩოს მავთული.

მაგრამ შორტენი კვირა დღესაც ისეთივე გატაცებით სწევდა მავთულს, როგორც ჩვეულებრივ დღეებში და ყველა იძულებული იყო კვირა დღესაც ექვს საათზე ამდგარიყო.

— ეს ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ,—თქვა მამამ,—მაგრამ, რადგანაც უკვე ასე ადრე გავიღვიძეთ, მოდიოთ, ტყეში წავიდეთ.

— ვაშა!—დაიყვირა ერთად რვა ბავშვმა.

— საბარგო მანქანით წვალოთ!—იკითხა შორტენმა.

— არა, დღეს საბარგო მანქანას დასვენების დღე აქვს. მეც არ მაწუხებს ცოტა ფეხით გავლა,—მიუგო მამამ.

... და ისინი ტყეში წავიდნენ.

თარგმანი ლია გოგიშვილისა
ნახატები მ. სამსონიძისა



ბელაპოლი

გვამს კლინიკილი

მომიტანა მამიკომ
ჯადუნური ყუთი,
რომ აწონოთ იქნება
აღბათ ერთი ფუთი.
თავზე ღრი მავთული
ფარგადივით დადგა,
შიგ აინთო სინათლე
და გამოჩნდა ფარდა.

მერე ძია გამოჩნდა,
„გამარჯობა“ გვითხრა,
მერე მოყვა ზღაპარი
და გვაცინა დიდხანს.
ვიზუპირეთ სახელი—
მე, გივიმ და გიზომ,
ეძახიან მგონია
ტრეფე...

ტრეფეობრს.

მონადირეები

ქ. ისაქაძე

— ბაბა, ძაღლს თუ იშოვი,
თოფი მე მაქვს ნამდვილი,
მამას ვთხოვოთ, გვასწავლეს
სანადირო ადგილი,
წავიდეთ და დავხოცოთ,
მტაცებელი ნადირი!



ნახატები ქ. აგბუაძისა



ბუნაკალი

ინო პენაპვილი

ნახატები რ. სხუჩიჩიძისა

ინანიანთ კოტე ბროწეულაში ცხოვრობს. ყოფილხარ ბროწეულაში? ძალიან ლამაზი სოფელია. ბროწეულა იმიტომ ჰქვია, რომ იქ ბევრი ბროწეულის ხეა. სოფლის ბოლოს ტყე იწყება, იქაც სულ ბროწეულის ხეებია.

ტყესთან ახლოს დიდ მინდორზე ყოველ ზაფხულს ჯარისკაცები დაბანაკდებიან ხოლმე. მათი თეთრი კარვები უზარმაზარ სოკოებსა ჰგვანან.

ჯარისკაცები მინდორში სავარჯიშოდ რომ მიდიან, აუცილებლად კოტეს სახლის წინ უნდა ჩაიარონ. კოტე გზისპირას დადგება და უყურებს როგორ მიიბიჯებენ მებრძოლები. ლამაზი სიარული კი იცაინ!

მათი მეთაური ითვლის:

— ერთი, ორი, სამი, — და ჯარისკაცები ისე შეწყობილად ადგამენ ფეხს, თითქოს ერთი კაციაო.

კოტეს ყველა ჯარისკაცი იცნობს, მუდამ უღიმიან ხოლმე და ცარიელ ვაზნებსაც აჩუქებენ.

ერთ ღღეს კოტემ წითელი ქალღმერთსაგან ხუთქმიანი ვარსკვლავი გამოსჭრა და მამის ძველ სამხედრო ქუდზე მიამაგრა, მწვანე მუყაოს სამხრები გაიკეთა, ჩექმები ჩაიცვა, თოფი მხარზე გადაიდო, ხმალი გვერდზე ჩამოიკიდა, თავის რაშზე შეჯდა და გზისპირისკენ გააქენა:

— აჩუ, აჩუ ცხენო,

შე კუდმოსაჭრელო! — მიიმღეროდა კოტე.

მართალია მამის ჩექმები სირბილს უშლიდა, თავზე ჩამოფხატულ ქუდს ყურები ძლივძლივობით იმაგრებდნენ, მაგრამ ეს რა ანგარიშში ჩასათვლელი იყო. კოტეს თავი მოსწონდა: იგი ნამდვილ ჯარისკაცივით იყო გამოწყობილი.

ბიჭმა რაში იმ ადგილას გააჩერა, სა-

დაც სამეცადინოდ მიმავალ ჯარისკაცებს წინათ უხვდებოდა ხოლომე.

აი, შორიდან მოისმა ჯარისკაცების სიმღერა. როცა მებრძოლები კოტეს მიუახლოვდნენ, იგი ცხენზე გასწორდა, თოფი და ხმალი შეისწორა, ხელი სალმის ნიშნად შუბლზე მიიღო. მეთაურმა კოტეს შორიდანვე მოჰკრა თვალი:

— ათეულო, სწორება მარცხნივ, სალა-მი!

ჯარისკაცებმა ისე გაჰიმულდებმა ჩაია-

რეს კოტეს წინ, თითქოს დიდი მეთაური ყოფილიყო.

— შენ კი გენაცვალოს პაპა, როგორც ნამდვილ გენერალს, ისე არ მიესალმნენ? დახე, დახე რა ბიჭი ყოფილა ეს ჩვენი კოტე!—სიცილით ამბობდა პაპა, რომელიც ვენახიდან შეუმჩნევლად ამოსულიყო და ყველაფერი დაენახა.

იმ დღიდან პაპამ კოტეს „გენერალი“ შეარქვა.

ფეხუღრი

თაბაზ სათიკიოვილი

აუჰ, როგორ დაზრდიან
ვერხეები და ფიჭვები,
ბანაობენ ლეღეში
გოგონები, ბიჭები.

ცირა ჯემალს ნოდარზე
საჭიდაოდ აქეზებს,
ზოგნიც მღორე ადგილზე
ჰყრიან ციციქნა ანკესებს.

რა ძვირფასი დრო არის,
რა ღამაზი, ზღაპრული,
ყვედა დროზე კარგია
თვალწარმტაცი ბათხული.



კვლე-კვლეს ფლკანა

საშუალო მარჯაი

ვაგორდება კომშივით,
აბლი, ბაბლი, აბლი...
დღეს თავისი ცოლ-შვილით
ტყეში წავა ზღარბი.

ზღარბსაცა აქვს თვალები,
წამწამი და წარბი.
ხელად მიიმალება,
აბლი, ბაბლი, აბლი.

ტყე ცასავით დიდია,
მიჰყვებიან ბილიკს,
ღამე ბნელში მიდიან—
დღეა, მამა, შვილი.

განა ტაში-ტუშითა,
ჩუმად, ფაჩი-ფუჩითა...

ტყეშაც ძილი ინება,
სძინავს ტკბილი ძილით.
ორ მგელს არ ეძინება,
დაულით პირი.
თვალეებს დააკვებსებენ,
ხოცი უნდათ ხარბებს.
ზღარბებსა აქეთ ნემსები,—
რას უზამენ ზღარბებს.

მამამ უთხრა: მგლეგიო,
შვილო, ხისქვეშ სხედან.
აბლა დავმრგვალდებო,
დამრგვალდება დედაც.

კიკნა ზღარბიც თვალდათვალ
დამეგვანა გორგალს...
წახდა მგელი თანდათან,
დაკაწრული ბორგავს.

ღმუის, ღრინავს მსუნავი,
სტკივა ძუ მგელს თათი.



ნახატი ვ. ბელიჩიხვილინა

მიატოვა ბუნაგი
და მოვარდა ხვადი.

მიაბრუნ - მიაბრუნა
ეკლიანი ზღარბუნა:
სად დამალა ცხვირიო,
მუცელი და პირიო?

მოიკმუნა წარბები, —
რას იზამსო ნეტავ?
მეიპარნენ ზღარბები
და დაუწყეს ჩხვლეტა.

აიბურძენეს ეკლები,
დააკაწრეს ყბები.
მგლები რას დააკლებენ,
რას უზამენ მგლები!

მერე ჩუმად გახდახეს:
— შვილო, ნუღარ ცახცახებ.

არ გამოყო ფეხიო,
მგელს დაეცეს მეხიო!

უცებ მართლა გავარდა
ტყეში სადღაც თოფი.
ძუ ავარდა-დავარდა,
მოსდის სიმწრის ოფლი.

მიუბრუნდა მეგობარს:
— დამკაწრეს და მეყოფა.

ძალზე მტკივა ყბებიო,
მოდო დამრგვალდებიო.
ვითომ მართლა ზღარბი ვარ,
მიინც ვეღარ დავრბივარ!

ხვადმა უთხრა:

— მწყემსები

ჩაგვიმტვრევენ ნეკნებს.
ჩვენ არა გვაქვს ნემსები,
ვერც ავისხამთ ეკლებს.
სანამ დროა, წავიდეთ,
თორემ კისერს წავიმტვრევთ!

რუსი მგლები ხელდახელ
ბუჩქნარს ჩაჰყენენ ხევდახევე.

შინ ჯანმრთელი ცოლ-შვილით
დაბრუნდება ზღარბი.
გაგორდება კომშივით,
აბლი,
ბაბლი,
აბლი.

თარგმანი გურამ გოგიაშვილისა





ჩვენა ბარნაბარა

გივი შოთაიაშვილი

ნახატები ზ. კახანაძისა

სადილად რომ დავსხდებოდით, მაშინ იწყებოდა ჩვენი გაწამაწოა. ჯერ ჩვენს უმცროს ბიჭუნას გიას დავსვამდით და კერძს პირველად მას ვადავუღებდით.

— ეს პური ღიღია, პატარა მინდა!.. — პირველად პურს დაიწუნებდა ბიჭი.

პურის პატარა ნაჭერს მივცემდით. გია უპურებდა მის თფუშზე დასხმულ კერძს, კოვზით ღიღიანს ურევდა და ჭამას მაინც არ იწყებდა.

თფუშზე თუ წვნიანი იყო, შემწვარი მოუწებოდა, თუ შემწვარი, — ფაფა ენატრებოდა, თუ ფაფას დაეუხსნამდით, წვნიანს მოითხოვდა.

— რა ვქნა, რა ვუყო ამ ბიჭს!.. — წუხდა

ღეღამისი, — ასეთი არაფერი მინახავს!.. ერთხელ ძია ნოდარი დავსწრა ჩვენს გასაკერძს.

— მაცალეთ, — სიცილით გვითხრა მან, — თუ თქვენს გიას ჭამა არ ვასწავლო, კაცი არ ვიყო!

იმ დღეს ნოდარმა თავისი შვილი მოიყვანა, გიას ხნის ბუთხუზა დათო. სწორედ სადილად ვსხდებოდით.

ნოდარმა დათო გიას გვერდით დასვა. ჩვენ თვალი ჩაგვიკრა, არაფერი თქვათო. მერ დათოს მათლაფუბე წვნიანი კერძი ბლამად გადაუღო. გიას თფუში ცარიელი დატოვა. დათომ ისე მადიანად დაიწყო ჭამა, შეგვეხანაბრა.

გიამ დათოს ერთ ხანს უყურა. დათო არავის ყურადღებას არ აქცევდა, გამადგობით იღუპებოდა. გიამ უცქირა, უცქირა და აღრიადდა:

— მეც მინდაა!..

დედამ გიას თეფშზე წვნიანი დაუსხა.

— ბევრი მინდაა, დათოსავით!— იყვირა გიამ.

კიდევ დაუმატეს.

გიამ კოვებს წაატანა ხელი, ჭამა დაიწყო. თან ცადი თვალთ დათოს უცქერდა. გიამ და დათომ თითქმის ერთდროულად დამთავრეს სადილობა.


ახლა გიას ჭამის დროს ყურადღებას არ ვაქცევო. ზის ბიჭუნა და გემრიელად მიირთმევი თავის უღუფას.



9099

ფიზიკური და მუხრია

ნახატი—ხუმრობა ვ. გელაძის მიერ





შოკოლადი

იყო ერთი ჰატარა ბიჭი, რომელსაც ქვეყანაზე ვეკლავდნენ შოკოლადი ერჩინა.

ერთხელ ეს ჰატარა ბიჭი მალაზიაში წავიდა შოკოლადის სეუილად. იქ ერთი ძაღლი იყო. ძაღლმა უთხრა:

— ჰატარა ბიჭო, მაჭამე შოკოლადი.

ბიჭმა მოუტეხა და მისცა.

ძაღლმა უთხრა:

— ჰატარა ბიჭო, ეს უურში შემთვარდა, მაჭამე კიდევ.

ბიჭმა მოუტეხა და მისცა.

ძაღლმა უთხრა:

— ჰატარა ბიჭო, ეს თვალში ჩამთვარდა, მაჭამე კიდევ.

ბიჭმა მოუტეხა და მისცა.

ძაღლმა უთხრა:

— ჰატარა ბიჭო, ეს ცხვირში შემთვარდა, მაჭამე კიდევ.

ჰატარა ბიჭმა იფიქრა „ეს ძაღლი შოკოლადს სულ შემთქამსო“, ჩაიღო შოკოლადი ზირში და ლო-უებტაბერილმა უთხრა:

— მე ზირში შემთვარდა და აღარა მახეს!



დავით ხაროძე
ნახატები ზ. ჟორჯიანიძის

ზღვასთან

ზღვასთან მიიბრის მურიბა,
— ჰამ, ჰამ, როგორ მწყურია!
უპ, რა მლაშე წყალია.—
წვეთიც ვეღარ დალია!



ყოყლოჩინა

ყოყლოჩინა მამლაყინწას
ასე ხმა რამ ჩაუხბრინწა,
დაყივლებას როცა ცდილობს,
ხდება ქვეყნის სასაცილო...



ბამოცანები



•••
ხისგან გამთალეს, ამაწყეს,
თაგბუ გამიღეს სიდიო,
ღვდა გიმღურდა ნანინას,
მე ვი მილის დრის გბრდიო.

მ. აპირახანოვი

•••
ინდი, მინდი, ინდი, მინდი,
ლალისყური, ჰქვია •••••

•••
ცალყუხუცა ცრიალა,
ყრდღმა •••••

პლ. სარინოელი



ბამოცანები

